პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (matsne.gov.ge), 13.05.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010110000.04.001.016108) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. **მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა.ბ) სხვადასხვა დროს საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად, პოლიტიკური მოსაზრებით, გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების, საკუთარი ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის ან/და ოჯახის გაერთიანების გამო ემიგრაციაში წასული პირი“.

2. **მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:**

„3^1. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ენის, ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის ფარგლები დგინდება განსაკუთრებული წესით, ამ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულების შესაბამისად.

3. **30^1 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) საქართველოში 1991 წლის 21 დეკემბრამდე დაბადებული და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიაზე 1991 წლის 21 დეკემბრამდე მცხოვრები პირის შთამომავალი, რომელსაც არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და რომლის მიმართაც არ არსებობს ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება“.

4. **30^1 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:**

„**1^1.** ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული პირებისათვის საქართველოს მოქალაქეობის დადგენისას სხვა ქვეყნის მოქალაქეობის

მიღების დამადასტურებელ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად არ ჩაითვლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბადებულ და ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი)“.

5. 31[1] მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 31[2] მუხლი:

„მუხლი 31[2]. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირს სახელმწიფო ენის, ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონის შეფასება შეუძლია გაიაროს როგორც ქართულ, ისე, აფხაზურ ენაზე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი: **სალომე ზურაბიშვილი**